# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 22 0000825761

20/07/2022

**შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის**
**რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და ავტორიზაციის ვადის განსაზღვრის შესახებ**

შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის მიერ 2022 წლის 20 ივნისის წარმოდგენილი №675408 წერილის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯამების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას (ს/კ 217881326) ავტორიზაციის ვადად 2022 წლის 13 ივლისიდან განესაზღვროს 1 (ერთი) წელი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებით.
2. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვროს 280;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 20 ივლისის № 825709 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა